ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო
G E O R G I A
MUNICIPALITY COUNCIL OF TERJOLA

განკარგულება:**გ-29.29220968**
თარიღი:**06/04/2022**

თერჯოლის მუნიციალიტეტის საკრებულოს ფრაქცია,,ევროპული საქართველოს“ გაუქმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 30-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ,,თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის #7 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული თერჯოლის მუნიციაპლიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-13 პუნქტის, საკრებულოს ფრაქცია ,,ევროპული საქართველოს“ თავმჯდომარის როლანდი მესხის 2022 წლის 01 აპრილის განცხადებისა და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2022 წლის 5 აპრილის N 4 დასკვნის საფუძველზე, საკრებულომ **გადაწყვიტა:**

მუხლი 1. ცნობად იქნას მიღებული საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის 2022 წლის 5 აპრილის N 4 დასკვნა თერჯოლის მუნიციალიტეტის საკრებულოს ფრაქციის ,,ევროპული საქართველოს“ გაუქმების შესახებ.

მუხლი 2. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ევროპული საქართველო“ გაუქმებულად ჩაითვალოს 2022 წლის 31 მარტიდან.

მუხლი 3. ეს განკარგულება სახელმძღვანელოდ გაეგზავნოს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას და საკრებულოს წევრს როლანდი მესხს.

მუხლი 4. განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ, ზესტაფონი, წერეთლის ქ. #7).

მუხლი 5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ბარათაშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

2400 ქ. თერჯოლა, ან. ჭანტურიძის ქ. 7 ტელ. 049122-12-76; 7, CHANTURIDZE STR. TERJOLA,
TEL: 049122-12-76 EMAIL: TERJOLASAKREBULO@GMAIL.COM